შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№30 (10.135)

24—31 აგვისტო 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„სამყარო კრიზისშია“-კლიმატის ცვლილების შედეგი

გლობალური სიცხის რეკორდი თითქმის ყოველთვიურად ირღვევა. ამ თემას ვრცელ სტატიას უძღვნის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

სტატიაში წერია, რომ აშშ-ის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ეროვნული ცენტრის (NCEI) უახლესი გლობალური კლიმატის ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის ივლისი იყო ყველაზე ცხელი თვე, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა 1850 წლიდან, გლობალური რეკორდების დაწყებიდან. ეს იყო ასევე ზედიზედ მე-14 თვე, როდესაც ტემპერატურის რეკორდი მოიხსნა.

NCEI ამბობს, რომ აფრიკასა და ევროპას ჰქონდა რეკორდულად ყველაზე თბილი ივლისი, სადაც ტემპერატურა წინა რეკორდულ თბილ ივლისს 0.05°C-ით აჭარბებს. მათივე ცნობით, ყველაზე ცხელი ივლისი დაფიქსირდა აზიაშიც, განსაკუთრებით მაღალი საშუალო მაჩვენებელი კი დაფიქსირდა პაკისტანში.

ექსტრემალური სიცხე ჯანმრთელობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს

ექსტრემალური სიცხის შედეგები ჯანმრთელობაზე შესაძლოა, კატასტროფულიც აღმოჩნდეს. 2022 წლის ზაფხულში ევროპაში სიცხემ 60000-ზე მეტი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. 2021 წელს კი, მეცნიერებმა, რომლებიც 43 ქვეყნის 732 ადგილის მონაცემებს აანალიზებდნენ, დაასკვნეს, რომ 1991-2018 წლებში სიცხესთან დაკავშირებული სიკვდილიანობის 37% შეიძლება კლიმატის ცვლილებას მიეკუთვნებოდეს. სიცხე ასევე აძლიერებს ჯანმრთელობის უფრო ირიბ რისკებს, მათ შორის მალარიის გამომწვევი კოღოების რაოდენობის ზრდას, რომლებიც თბილ ტემპერატურაზე უფრო კარგად მრავლდებიან.

ცხელ კლიმატთან ადაპტაცია

უახლოეს ათწლეულებში, ტემპერატურის მატება პრობლემებს შეუქმნის ადამიანებს და მრავალ სფეროს, მათ შორის ეკონომიკას. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, 3,5 მილიარდზე მეტ ადამიანს დასჭირდება ადაპტაცია ტემპერატურასთან, რომელიც ადამიანებისთვის კომფორტულ დონეს აღემატება.

ადამიანები ტრადიციულად ცხოვრობენ რეგიონებში, სადაც საშუალო ტემპერატურაა 11°-15° გრადუსს შორის მერყეობს. **PNAS** ამბობს, რომ გლობალური მოსახლეობის ერთი მესამედი ცხოვრობს ადგილებში, სადაც საშუალო ტემპერატურა 29°C-ზე მეტია, რომელიც ამჟამად დედამიწის ხმელეთის ზედაპირის 0.8%-ს შეადგენს.

მაღალ ტემპერატურაზე ადაპტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ქალაქებში. შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი რიგი ურბანული სტრატეგიები მოსახლეობის ადაპტაციისთვის. ექსტრემალური სიცხის რისკების საპასუხოდ, ქალაქები მთელი მსოფლიოდან აჩვენებენ, რომ არსებობს ეფექტური გადაწყვეტილებები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია. მაგალითად, მაიამში დააწესეს ყოველწლიური „სითბო სეზონი“, როგორც სტრატეგია ცნობიერების ამაღლების მიზნით, რომელიც საფრთხეს უქმნის ექსტრემალურ სიცხეს.

ათენი, საბერძნეთი - აღადგენს 1500 წლის რომაულ აკვედუქს ადგილობრივი სარწყავად, რაც გაამწვანებს მის ტერიტორიებს და შეამცირებს მაღალ ტემპერატურას.

სევილია, ესპანეთი – ავითარებს მსოფლიოში პირველ სიცხის ტალღების დასახელებისა და კატეგორიზაციის სისტემას, რომელიც ჯანმრთელობაზე პროგნოზირებულ ზემოქმედებას ეფუძნება.

ფრიტაუნი, სიერა ლეონე - ახორციელებს ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს „ფრიტაუნი ხეების ქალაქი" ინიციატივით, 1 მილიონი ხის დარგვის მიზნით, როგორც პრაქტიკული ნაბიჯი ქალაქის გაგრილებისთვის.

რა ხდება საქართველოში?

უკვე დიდი ხანია, კლიმატის ცვლილება მსოფლიოს თითოეულ რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის ხელშესახები გახდა. მყინვარების დნობა, ზღვის დონის მატება, რეკორდული სიცხეები, ძლიერი გვალვები, ტყის ხანძრები, მასშტაბური დატბორვები, მეწყრები სხვა მსგავსი მოვლენები ბოლო წლებში საკმაოდ გახშირებულია.გამონაკლისი არც საქართველოა.

საქართველოს უკლებლივ ყველა რეგიონში 2020 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ კვლევაში მონაწილეთა 97.6%-ისთვის კლიმატის ცვლილების შესახებ ცნობილი იყო, 91.35%-ს კი ეს რეალურ პროცესად მიაჩნდა. მათ ნახევარზე მეტის აზრით, კლიმატის ცვლილება კაცობრიობისთვის ტერორიზმსა და შეიარაღებულ კონფლიქტებზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა კარგად იაზრებს, რა პრობლემების წინაშე ვდგავართ.

ბოლოდროინდელმა კვლევებმა ცხადყო, რომ კავკასიის რეგიონში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა მდებარეობს, ყინული სწრაფად ლღვება. კერძოდ, დიდი კავკასიონის მყინვარების მოცულობის შემცირების ტემპი 2000-დან 2020 წლამდე 4-ჯერ დაჩქარდა, ვიდრე 1911-1960 წლებში, 1960-1986 წლებთან შედარებით კი – 3-ჯერ. ასევე, ბოლო 2 დეკადაში ჯამში 11 მილიარდი ტონა წყლის ეკვივალენტური ყინულის მასა დაიკარგა, ხოლო მყინვარების არეალი 320კმ2-ით დაპატარავდა.

არანაკლებ საგანგაშოა გაუტყეურების პროცესიც. ვებაპლიკაცია ჩლობალ ფორესტ ჭატცჰ-ის თანახმად, მხოლოდ თბილისში 2010-დან 2020 წლამდე 14 ჰექტარ ფართობზე არსებული მწვანე საფარი განადგურდა, რაც ამ საუკუნის პირველ 2 დეკადაში 0.83%-იან დანაკარგს უდრის. იმავე პერიოდში, საქართველოს დედაქალაქში გაუტყეურების შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგის რაოდენობამ წელიწადში 176 ტონა შეადგინა, ტყის მიერ შთანთქმულმა კი –13.5 კილოტონა. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ყოველწლიურად -13.3 კილოტონა ნახშირბადი მიმოიცვლებოდა.

შეგახსენებთ, რომ მცენარეები დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს შთანთქავს, რაც ატმოსფეროში მის დაგროვებას ხელს უშლის. შესაბამისად, ტყის საფარის განადგურება ჰაერში მავნე ნივთიერებების მეტ კონცენტრაციას განაპირობებს, ეს კი გლობალურ დათბობას აუარესებს და მისი შედეგები ისევ ჩვენ

გვიბრუნდება.

ცუდი სიტუაციაა ჭალის ტყეების შემთხვევაშიც, რომლებიც კლიმატის ცვლილების მიმართ განსაკუთრებულად მოწყვლადია. მათ გარეშე წარმოუდგენელია მდინარეთა კალაპოტების მდგრადობა, რადგან ამგვარი ფაუნა ნაპირების ჩამოშლასა და ეროზიას ეწინააღმდეგება. ასევე, ადგილობრივ მიკროკლიმატზე დადებითად მოქმედებს და მოსავლიანობას ზრდის. მაგალითად, ალაზნის ჭალების ფართობის შემცირებისა და ხარისხის დაცემის გამო ნაპირები ირღვევა, ფიქსირდება სავარგულების წალეკვის ფაქტები და ა.შ.

საბოლოო ჯამში, საფრთხე ექმნება სოფლის მეურნეობასაც, რადგან ზემოხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე ზიანდება სახნავი მიწები და საძოვრები. ამ მხრივ მოწინავე კახეთის რეგიონი უკვე გაუდაბნოების რისკის ქვეშაა. საქმე იმაშია, რომ იქ ტემპერატურა ყოველ ზაფხულს იმატებს, გახშირებულია გვალვები, ხოლო ზამთარში ნალექის ნაკლებობა შეიმჩნევა. ეს უარყოფითად აისახება ეკონომიკაზეც, ამიტომ შესაბამისი ღონისძიებების გატარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დედამიწა ჩვენი სახლია. ერთი შეხედვით, ადამიანები ვზრუნავთ იმ გარემოზე, სადაც ვცხოვრობთ, მაგრამ გვავიწყდება, რომ ტყის მასივების განადგურებას, ხანძრებს არცთუ სახარბიელო შედეგების გამოწვევა შეუძლია. დიახ, სამყარო კრიზისშია და დღესვე თუ არ ვიზრუნეთ მასზე, ხვალ გაცილებით რთულ სიტუაციაში მოგვიწევს ცხოვრება.

„კაცობრიობა დღეს თვითგანადგურების რეჟიმშია“-გვაფრთხილებენ მეცნიერები. კლიმატის ცვლილების პროგნოზიც და არსებული სიტუაციაც ამას ადასტურებს. დედამიწას ზრუნვა და სიყვარული ისევე სჭირდება, როგორც თავად ადამიანს!

მასალა მოამზადა

ინგა შიოლაშვილმა

გილოცავთ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს!

პრემიერი — „რეიტინგი გვაქვს 60%, ქუდზე კაცი გვჭირდება იმისთვის, რომ მივიღოთ საკონსტიტუციო უმრავლესობა“

რეიტინგი გვაქვს 60% ქუდზე კაცი გვჭირდება იმისთვის, რომ მივიღოთ საკონსტიტუციო უმრავლესობა. ეს არის ჩვენი ამბიციური მიზანი და ვფიქრობ, ყველანაირი წინაპირობა არსებობს ამ მიზნის შესასრულებლად, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მცხეთაში ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, საკონსტიტუციო უმრავლესობა არის საუკეთესო გზა იმისთვის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში გადაიჭრას ეროვნული საკითხები, დამკვიდრდეს ჯანსაღი პოლიტიკური სისტემა და გასამართლდეს არალეგიტიმური, არაკონსტიტუციური პოლიტიკური ძალა - „ნაცმოძრაობა“.

„ქუდზე კაცი გვჭირდება იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მიიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. სწორედ, ეს საკონსტიტუციო უმრავლესობა არის საუკეთესო გზა იმისათვის, რომ გადაიჭრას გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენი ეროვნული საკითხები. მათ შორის, იმისათვის, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს ჯანსაღი პოლიტიკური სისტემა, იმისთვის, რომ გასამართლდეს არალეგიტიმური, არაკონსტიტუციური პოლიტიკური ძალა - „ნაცმოძრაობა“. ამისთვის გვჭირდება ჩვენ ქუდზე კაცი საკონსტიტუციო უმრავლესობის მოსაპოვებლად“, - განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

როდის დასრულდება გომბორის გზის რეაბილიტაცია

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის 33.6 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება.

დასრულებულია ხელოვნური ნაგებობების ძირითადი ნაწილის და 26 კმ-ზე საგზაო სამოსის მოწყობის სამუშაოები. აქტიურად გრძელდება ასფალტის დაგება, დასრულების ეტაპზეა 35 მეწყრული უბნების პრევენციის სამუშაოები, საიდანაც დარჩენილია მხოლოდ 3 მეწყრული მონაკვეთი.

,,გომბორის გზა მოძრაობის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა. ამ გზით სარგებლობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტები. გზის დაზიანებული, დამეწყრილი და დეფორმირებული ადგილები მოძრაობის უსაფრთხოებასა და კომფორტულ გადაადგილებას ვეღარ უზრუნველყოფდა, რის გამოც დაიგეგმა გზის რეაბილიტაციის პროექტი.

პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია გზის სავალი ნაწილის სრული რეაბილიტაცია, ასფალტბეტონის საფარის დაგება, 6 ხიდის რეაბილიტაცია, ახალი წყალგამტარი მილებისა და რკინაბეტონის ქვედა

და ზედა საყრდენი კედლის მოწყობა. ასევე, გატარდება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, შეკეთდება ტროტუარი, მოეწყობა მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედანი და ავტო პავილიონი, ჩატარდება საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები”.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 66 700 000 ლარით ფინანსდება. სამუშაოების დასრულება 2024 წლის შემოდგომაზე იგეგმება.

როგორია ყურძნის მისაღებად საწარმოების მზაობა კახეთში

2024 წელს, ყურძნის საპროგნოზო მოსავალი რეკორდულია და დაახლოებით 300 ათასი ტონას შეადგენს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული კომპანიების, საშუალო და მცირე მარნების რაოდენობა 3000-ს აღწევს, საიდანაც 500-ზე მეტი საწარმო ყურძნის მიღების პროცესში ჩაერთვება. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს, რთველში რეგისტრირებული იყო ღვინის მწარმოებელი მხოლოდ 40-მდე კომპანია.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილდაში „მეღვინეობა ჯობავაში“ იმყოფებოდა. საწარმოს დირექტორის, ბესიკ ჯობავას განცხადებით, 2024 წლის რთველის პერიოდში, საკუთარი ვენახებიდან მიღებულ მოსავალთან ერთად, მევენახე ფერმერებისგან 300 ტონამდე ყურძენს შეისყიდიან და გადაამუშავებენ.

„მეღვინეობა ჯობავა“ ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილდაში მდებარეობს და წელიწადში 1 200 000 ბოთლ ღვინოს აწარმოებს. საწარმო შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით სარგებლობს. სექტემბრიდან, პირველი საექსპორტო პარტია ევროპის ქვეყნების მიმართულებით გაიგზავნება, ხოლო 2025 წლიდან, საექსპორტო ქვეყნებს ისრაელი და ამერიკის შეერთებული შტატები დაემატება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ყველა ის კომპანია, რომელიც 2024 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ, არანაკლებ, 100 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენს და 1 კგ. ყურძენში ჩამბარებელს, არანაკლებ, 1 ლარს გადაუხდის. კახეთის რეგიონში, კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია 1კგ. რქაწითელზე 0.20 ლარს შეადგენს.

რთველის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად, ქალაქ თელავში, უკვე გახსნილია საკოორდინაციო შტაბი. რთველის საკოორდინაციო შტაბი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზი (1501) 24 საათიან რეჟიმში მუშაობს.

ცესკოს ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსში ცვლილებები შეაქვს

26 ოქტომბრის არჩევნების დანიშვნამდე საარჩევნო ადმინისტრაცია საკუთარ საქმიანობაში მიუკერძოებლობის სტანდარტს კიდევ უფრო ამაღლებს და ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსში ცვლილებები შეაქვს.

შესაბამისი დადგენილება ცესკომ 16 აგვისტოს გამართულ სხდომაზე მიიღო და კიდევ უფრო გაამკაცრა ის სტანდარტები, რომლის დაცვაც ყველა დონის საარჩევნო კომისიის წევრს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით ევალება.

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარჩევნო ადმინისტრაცია წარმოადგენს დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარების ერთ-ერთ უმთავრეს ქვაკუთხედს და გარანტს. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა მოხელეთა მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვის მაღალი ეთიკურ სტანდარტი, რომელიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს საზოგადოებაში საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდასა და განმტკიცებას.

ეთიკის კოდექსის გაფორმება ყოველი არჩევნების წინ უკვე რამდენიმე წელია ტრადიციად იქცა. მასზე ხელის მოწერით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები აღიარებენ და იღებენ ვალდებულებას იყვნენ ეთიკურები და ნეიტრალურები. ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ არჩევნები შეესაბამებოდეს იმ სტანდარტებს, რაც აუცილებელია დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. 2024 წლის არჩევნებამდე ყველა დონის საარჩევნო კომისიის წევრები ეთიკის კოდექსს ერთდროულად აწერდნენ ხელს. წელს კი ხელმოწერა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება და არჩევნების დანიშვნის შემდგომ ჯერ ცესკოს, შემდგომ კი ქვედა დონის საარჩევნო კომისიების წევრები კომისიების დაკომპლექტებიდან მალევე მოაწერენ ხელს.

თუშეთში გიორგი ანწუხელიძის მემორიალი გაიხსნა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, თუშეთში, აბანოს უღელტეხილზე საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის მემორიალური სვეტი გაიხსნა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე, თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტი, მთავარი სერჟანტი გიორგი გოგჭური, ეროვნული გმირის ოჯახის წევრები და თავდაცვის ძალების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„მათ მემორიალურ სვეტთან კიდევ ერთხელ გაიხსენეს გიორგი ანწუხელიძის გმირობა და პატივი მიაგეს მის ხსოვნას”,- ნათქვამია ინფორმაციაში, რომელსაც უწყება ავრცელებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10(ათი) წლის ვადით გადასაცემად

ლოტი	მიხამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი წლიური საფასური(ლარებში)	„ბე“-საწყისი ფასი (%)	„ბიჯი“-საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის“-ფასი (ლარებში)
1	სოფელი ხორნაბუჯი	შენობა-ნაგებობა	13 კვ.მ.	52.06.31.188	380	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი- 300 533 047 (მიწის ნაკვეთის იჯარიდან მიღებული შემოსავალი); 3.პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40 *სააუქციონო კომისია*

კახეთში რთველის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა

მიმდინარე წელს ყურძნის საპროგნოზო მოსავალი, დაახლოებით, 300 ათასი ტონას შეადგენს.

„ჩვენ წლებია, რაც მევენახეობა-მეღვინეობის დარგი გამოვაცხადეთ პრიორიტეტად და ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩავდეთ ამ დარგის განვითარებისთვის. კონკრეტული შედეგები გვაქვს სახეზე და ეს არის გამოხატული როგორც ვენახების ფართობების, ასევე ღვინის ექსპორტის ყოველწლიურ ზრდაში. წელსაც, 7 თვის მონაცემებით, 20%-იანი ზრდა გვაქვს. შარშან გვქონდა რეკორდული ექსპორტი; შემოსავლის კუთხით წელს ველოდებით, რომ მევენახეების შემოსავალი იქნება რეკორდული, დაახლოებით 350 მილიონი. ამ პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა არის ის, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რქაწითელის ჯიშის სუბსიდირებაზე. ყველა პირობა არის შექმნილი იმისთვის, რომ მაქსიმალურად ორგანიზებულად ჩატარდეს რთველი“, – განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ.

მინისტრმა მევენახეებსა და მეღვინეებს რთველის დაწყება მიულოცა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, პროცესი ორგანიზებულად წარიმართოს და ყურძენი სრულად დაბინავდეს.

ოთარ შამუგიამ ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე ქართული ღვინის ხარისხზე გაამახვილა ყურადღება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ქარხნებმა კონდიციური, ხარისხიანი ყურძენი ჩაიბარონ. სწორედ ხარისხიანი ყურძენი განსაზღვრავს ღვინის ხარისხს და შემდგომ მის კონკურენტუნარიანობას, რაც, საბოლოოდ, ფასზე და ექსპორტის მაჩვენებლებზე ისახება.

შტაბის გახსნას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატები გელა სამხარაული და ირაკლი ქადაგიშვილი, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მევენახე ფერმერების მიერ მოწეული ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობისა და მეღვინეობის დარგის სტაბილური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობა რთველი სუბსიდირებას წელსაც ახორციელებს, რაც 20 ათასზე მეტ მევენახეს მოსავლის რეალიზაციის საშუალებას, ხოლო რთველში ჩართულ 500-მდე კომპანიას ყურძნის შეუფერხებლად შესყიდვა-გადამუშავების შესაძლებლობას მისცემს.

სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ყველა ის კომპანია, რომელიც 2024 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენს და 1 კგ ყურძენში ჩამბარებელს არანაკლებ 1.00 ლარს გადაუხდის. კახეთის რეგიონში, კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია 1კგ რქაწითელზე 0.20 ლარს შეადგენს.

ქალაქ თელავში რთველის საკოორდინაციო შტაბი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზი (1501) 24 საათიანი რეჟიმში მუშაობს. რთველის საკოორდინაციო შტაბს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა ხელმძღვანელობს.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები საერთაშორისო ინიციატივის – „Wilder Park” წევრად განიხილება

„Wilder Park” არის ახალი ინიციატივა, რომელიც შეიქმნა ევროპის დაცული ტერიტორიების უმსხვილესი ქსელის - ევროპარკების ფედერაციის და საერთაშორისო ორგანიზაცია **„Rewilding Europe“** პარტნიორობის საფუძველზე. „**Wilder Park**“ ორიენტირებულია ევროპარკების ქსელში გაერთიანებული დაცული ტერიტორიების მხარდაჭერაზე, ველური ბუნების აღდგენა, დაცვასა და განვითარებაზე. დაცული ტერიტორიების სააგენტო ევროპარკების ფედერაციის წევრი 2018 წლიდანაა.

„Wilder Park” მასში გაწევრიანებულ ევროპულ ქვეყნებს, როგორიცაა გერმანია, ესპანეთი, იტალია, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვა, სთავაზობს ბუნების კონსერვაციის პროგრესულ მიდგომას, რომლის მიხედვით ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ლანდშაფტების დაცვაში მთავარ როლს ბუნებრივი პროცესები თამაშობენ.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხების განხილვის მიზნით, საქართველოს ორგანიზაცია „**Rewilding Europe**“-ის აღმასრულებელი დირექტორი ფრენს შეპერსი, ევროპარკების ფედერაციის წარმომადგენელი ბარბარა პაისი და ესპანეთში დაცული ტერიტორიებისა და ნაკრძალის მართვის ექსპერტი ჯორდი პალაუ ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ბესიკ კუსიდთან და თავმჯდომარის მოადგილე თამარ ხახიშვილთან. შეხვედრის ფარგლებში, სააგენტოს მხრიდან მოხდა ექსპერტებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ. შეხვედრის შემდეგ განხორციელდა ვიზიტი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ექსპერტები ადგილზე გაეცნენ და შეაფასეს „**Wilder Park**”-ის ინიციატივაში გაერთიანების პოტენციალი.

აღსანიშნავია, რომ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები გამორჩეულია უნიკალური ნახევრადუდაბნო ლანდშაფტებით და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით, რომელიც რეგიონისთვის მნიშვნელოვან საკონსერვაციო არეალს წარმოადგენს, რომლის შედეგად, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, 2015 წლიდან, საქართველოში, ევროპული დიპლომის მფლობელი ერთადერთი დაცული ტერიტორიაა. 2013 წლიდან, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე წარმატებით მიმდინარეობს ქურციკების რეინტროდუქციის პროექტი.

დაგესვლის ოთხი შემთხვევა დედოფლისწყაროში

წლევანდელ სეზონზე ადამიანის დაგესვლის უკვე მეოთხე შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში განუცხადეს. სპეციალისტების განმარტებით, დედოფლისწყაროში მუდმივად ინახება გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი, რომელიც ასეთი შემთხვევებისთვისაა გათვალისწინებული. სპეციალისტები მოქალაქეებს ზაფხულის ცხელ სეზონზე სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ და ქვეწარმავლებთან საბრძოლველად პრევენციული ზომების გატარებისკენ მოუწოდებენ.

20 აგვისტოს სოფელ არხილოსკალოში 37 წლის ტარიელ ბექაური გველმა დაგესლა. დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, **მარიეტა გონაშვილის** განმარტებით, მასზე გაიცა გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი.

„ჩვენ ერთი დოზა შრატი გავეცით ამ შემთხვევაზე და ახლა კიდევ შევავსებთ მარაგს. აპრილში, მაისსა და ივნისში დაგესვლის თითო შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ივლისის თვეში არცერთი შემთხვევა არ გვქონია, ხოლო რამდენიმე დღის წინ დაფიქსირდა კიდევ ერთი ფაქტი. რეაგირება დროულად ხდება, სპეციალური შრატი ინახება როგორც ჩვენთან, ისე კლინიკაში. გახარჯვის შემდეგ დროულად ვახდენთ მარაგის შევსებას, ხვალაც მივდივართ მარაგის შესავსებად და ამ მხრივ შეფერხებები არ გვაქვს. საბედნიეროდ, დაგესვლის შედეგად განვითარებული ფატალური შემთხვევები ჩვენთან არ დაფიქსირებულა,“ – ამბობს მარიეტა გონაშვილი.

არხილოსკალოში ამბობენ, რომ დროული რეაგირება მოახდინეს, ოპერატიულად გადაიყვანეს რაიონულ საავადმყოფოში და გაუკეთდა შრატიც. თუმცა, მამაკაცის ოჯახში აცხადებენ, რომ დაშავებულს ფეხი მაინც შეუშუპდა და პაციენტის გურჯაანის კლინიკაში გადაყვანა გახდა საჭირო.

„სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი დროულად მოვიდა, არ დაგვიგვიანია, დედოფლისწყაროში გაუკეთდა შრატი. მედიკოსებმა ნაკბენი გაზომეს და დაკვირვების შედეგად ივარაუდეს, რომ ეს გიურზას ნაკბენია. მაინც გურჯაანის კლინიკაში გადაყვანა გადავწყვიტეთ, რათა იქ მეტი რეანიმაციული შესაძლებლობებია და თავი დავიზღვიეთ. მესამე დღეს ფეხი ისევ შეშუპებული ჰქონდა.“ – უთხრა „შირაქს“ დაშავებულის დედამ მანანა ბედიოძემ.

თამარ დავითური *(არხილოსკალოს ამბულატორიის ხელმძღვანელი, ექიმი):* „შემთხვევა ღამით, ე.წ. ჩინარის ტერიტორიაზე მოხდა. საქონელი ჰყავს და იქ იმყოფებოდა. ცხენი მოუკვდა და როგორც ვიცი, გვამს ტრაქტორზე აბამდნენ, რა დროსაც გველმა დაგესლა. გამოიძახეს სასწრაფო და გადაიყვანეს დედოფლისწყაროში. ამბულატორიისთვის არ მოუმართავს, თუმცა, ვკითხულობ მის ჯანმრთელობის მდგომარეობას და ვიცი ამ შემთხვევის შესახებ“.

ამას გარდა, გასულ თვეებში დაგესვლის შემთხვევები დაფიქსირდა სოფელ სამთაწყაროში. ორი მამაკაცი სამთაწყარო-ფიროსმანის ტერიტორიაზე სამუშაოდ იმყოფებოდა, რა დროსაც ქვეწარმავალმა დაკბინა. მათ დროულად ჩაუტარდათ ვაქცინაცია. არცერთი მათგანი ადგილობრივი არ არის.

სპეციალისტები ამბობენ, რომ დაგესვლის მომატებული რისკი თან ახლავს რთველის დაწყებას. ყურძნის კრეფა კახეთში თავდაპირველად სწორედ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ალაზნისპირა სოფლებიდან უკვე იწყება და „რთველი 2024“ აქტიურ ფაზაში სულ მალე შევა.

„ტემპერატურის მატების დროს ემთხვევა რთველი და ყურძნის კრეფის სამუშაოები, არადა ცნობილია, რომ ვენახებში ხშირად ფიქსირდება ქვეწარმავლები და ადამიანის დაკბენის შემთხვევები. ამიტომაც, ვენახებში დასაქმებულ ადამიანებს ვურჩევთ სიფრთხილით მოეკიდონ და ყურძნის კრეფის პროცესში ყურადღება გამოიჩინონ. აუცილებელია მინაზე ვიყუროთ, რათა არ მოხდეს შემთხვევით ქვეწარმავალზე ფეხის დაბიჯება. ხშირ შემთხვევაში გველი სწორედ მაშინ კბენს, როცა ფეხს აბიჯებენ, ან საფრთხეს გრძნობს. ქვეწარმავალის შენიშვნის დროს აუცილებელია გავერიდოთ. თუკი არ შეეხებით და თავს არ დავესხმებით, ისინი შეტევაზე არ გადავლენ,“ – გვირჩევენ სპეციალისტები.

ჯანდაცვის რაიონულ ცენტრში ამბობენ, რომ წელს პირველად დედოფლისწყაროში ახალი პრაქტიკა დაინერგა და სხვადასხვა დაწესებულებები უკვე ცდილობენ ხელშეკრულება გააფორმონ შესაბამის სამსახურებთან და საკუთარი ეზო და მიმდებარე ტერიტორია ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ხსნარით წელიწადში რამდენჯერმე დაამუშაონ. მსგავსი ხელშეკრულება რამდენიმე ორგანიზაციამ უკვე გააფორმა, მათ შორისაა სკოლებიც.

ილია მარტყოფლიშვილი

„ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ირჩევს ომს თუ მშვიდობას, ირჩევს მორალურ დეგრადაციას, თუ ტრადიციულ ფასეულობებს“

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს თუ ირჩევს მშვიდობას, ირჩევს მორალურ დეგრადაციას თუ ირჩევს ტრადიციულ ფასეულობებს, ირჩევს გარე ძალებზე საქართველოს მონურ დამოკიდებულებას თუ ირჩევს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, ირჩევს კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ ირჩევს „ქართულ ოცნებას“, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადებაშია ნათქვამი.

როგორც „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, „ქართული ოცნების“ მიერ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვებით, მოკლევადიანი, 4-წლიანი ამოცანა წარმატებით შესრულდება — საქართველოში გაიმარჯვებს მშვიდობა, ტრადიციული ფასეულობები და სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეა.

„თუმცა, ამ უშუალო ამოცანასთან ერთად, ჩვენ გვაქვს გრძელვადიანი ამოცანა, უზრუნველვყოთ საქართველოს ხანგრძლივი, მდგრადი მშვიდობა და უსაფრთხოება, რასაც „ქართული ოცნების“ მიერ მაღალი, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება ესაჭიროება. ვაცნობიერებთ რა ჩვენს პასუხისმგებლობას ქართველი ხალხის წინაშე, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, დავაზუსტოთ, თუ რისთვის გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა: პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება გვჭირდება პოლიტიკური სისტემის თვისებრივად გასაჯანსაღებლად, რისი მიღწევაც პოლიტიკიდან კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოშორების გარეშე შეუძლებელია. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე, ჩვენ დავაინიცირებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ყველა მისი სატელიტი თუ მემკვიდრე პარტია არაკონსტიტუციურად გამოცხადდება. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულებრივი რეჟიმის ხელისუფლებიდან ჩამოშორებიდან 12 წელი გავიდა, დღემდე მისი გასამართლება ვერ მოხერხდა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში, დამნაშავეების არგასამართლებას აქტიურად ითხოვდნენ მათი უცხოელი მფარველები, რამაც რეჟიმის გასამართლებას გადამწყვეტი წინაღობა შეუქმნა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევძელით კონკრეტულ უმძიმეს დანაშაულებზე სამართლის აღსრულება რეჟიმის ათობით მაღალი, საშუალო თუ დაბალი რანგის წარმომადგენლის მიმართ, ყოფილი პრეზიდენტის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ყოფილი მინისტრებისა და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების ჩათვლით. შესაბამისმა განაჩენებმა, მთლიანობაში, წლების მანძილზე, შექმნა მყარი საფუძველი რეჟიმის გასასამართლებლად. ასევე, შეგახსენებთ, რომ გასული წლების მანძილზე წარიმართებოდა პროცესები ჰააგასა და სტრასბურგში, რომლებიც, „ქართული ოცნების“ ძალისხმევით, საქართველოს და ქართული ჯარის გამარჯვებით დასრულდა. ჰააგისა და სტრასბურგის პროცესების ფონზე, 2008 წლის დანაშაულში ჩაძიება მნიშვნელოვან რისკებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც ახლა სრულად არის მოხსნილი. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, 2008 წლის დანაშაულის მონანიების მაგივრად, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთხელ ექაჩებოდა და დღესაც ექაჩება საქართველოს ომისკენ. ამ ფონზე ამ დანაშაულებრივი ძალის გასამართლებამ დღეს სულ სხვა აქტუალობა შეიძინა“, — ნათქვამია განცხადებაში.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადებაში ნათქვამია, რომ კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ ძლიერი გარე მფარველები ახლაც ჰყავს.

„ეს არიან ის ძალები, რომლებიც გასული ორი წლის განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ყველა კამპანიის, მათ შორის, მეორე ფრონტის კამპანიის ადგილობრივ თუ საერთაშორისო კოორდინაციას ახორციელებდნენ. ჩვენ ამ ძალებს უნდა დავანახოთ, რომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური სისტემიდან ჩამოშორება ქართველი ხალხის უდიდესი, საკონსტიტუციო უმრავლესობის გადაწყვეტილებაა. ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს ერთგვარ ნიურნბერგის პოლიტიკურ განაჩენად „ნაციონალური მოძრაობისთვის“, რომელიც შესაბამის სამართლებრივ პროცესს მყარ ნიადაგს შეუქმნის. სწორედ გარე ფაქტორის გათვალისწინებით არის აუცილებელი „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება „ნაციონალური მოძრაობის“ გასასამართლებლად. გამომდინარე უამრავი დანაშაულიდან, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა, მას ვერ მივცემთ უფლებას, გარე დავალებების შესრულება და სახელმწიფოსთვის მუდმივი ზიანის მიყენება განაგრძოს. დაუშვებელია, ხელისუფლებაში დაბრუნების თუნდაც თეორიული შესაძლებლობა დარჩეს 2008 წლის დანაშაულის ჩამდენ პოლიტიკურ ძალას, მით უმეტეს, იმ გამოწვევების ფონზე, რომლებიც საქართველოს წინაშე რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე დგას. იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ოპოზიციის როლს გარედან მართული პოლიტიკოსების დანაშაულებრივი ჯგუფი — კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ასრულებს, სახელმწიფოს მუდმივად უწევს დანაღმულ ველზე სიარული, რის გამოც ქვეყნის დაკარგვის რისკი მუდმივად აქტუალური რჩება. ყველას გვახსოვს ხელისუფლების გადატრიალების მცდელობა, რომელიც ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე გამოტანილ საეჭვო განაჩენს მოჰყვა. მოსამართლემ, რომელიც უცხოელებისგან დღემდე საეჭვო პრივილეგიებით სარგებლობს, პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალი არ გაითვალისწინა და გაუგებარი განაჩენი გამოიტანა, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. თუმცა ოპოზიციამ და „ენჯეოებმა“ არა მოსამართლის, არამედ პროკურატურის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენეს. მეტიც, პროტესტი რევოლუციურ პროცესებში გადაიზარდა. მაშინ საზოგადოებას გაუჭირდა იმის გააზრება, თუ ვის მიერ და რა მიზნით იყო შესაბამისი პროცესები დაგეგმილი და კოორდინირებული. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი არჩევნებამდე შედარებით დიდი ხნით ადრე და არა წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ტრაგიკულად შეიძლება დასრულებულიყო და ხელოვნურად წარმართულ სცენარს ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნება შეიძლებოდა მოჰყოლოდა. საზოგადოებას თვეები დასჭირდა იმის გასააზრებლად, რომ საქმეში ხელისუფლების არავითარი ბრალეულობა არ იყო. ეს მაგალითი იმ რისკების საუკეთესო ილუსტრაციაა, რომლებიც, ხელოვნურად გაღვივებული პოლარიზაციის ფონზე, მსგავსი სცენარის ამოქმედებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული“, — ნათქვამია განცხადებაში.

ასევე, „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოში სრულფასოვანი არჩევნები არ ჩატარებულა.

„ჯანსაღ დემოკრატიულ სისტემაში საზოგადოებას უნდა ჰქონდეს არჩევანი კარგსა და უკეთესს შორის. ქართულ სინამდვილეში კი ერთ მხარეს არის „ქართული ოცნება“, რომელიც სახელმწიფოს შენარჩუნებას ცდილობს და მეორე მხარეს არის კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც მთლიანად გარედან იმართება და სახელმწიფოს გამუდმებული მტრობით არის დაკავებული. როდესაც ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა სამზე მეტი ვადით ინარჩუნებს ძალაუფლებას, ეს დემოკრატიულ პროცესს გარკვეულწილად ჩრდილს აყენებს. ჯანსაღ დემოკრატიულ სისტემაში გარკვეული პერიოდულობით ერთმანეთს ხელისუფლებაში ერთმანეთზე უკეთესი პოლიტიკური ძალები უნდა ანაცვლებდნენ, რაც დღევანდელ ვითარებაში შეუძლებელია. სრულფასოვანი არჩევნები საქართველოში მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდება, რაც პოლიტიკურ სისტემაში კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჯანსაღი ოპოზიციური ძალები ჩაანაცვლებენ. ჩვენი ვალია ქართული სახელმწიფოს წინაშე, პოლიტიკური სისტემის არაჯანსაღი მდგომარეობა სამუდამოდ შევცვალოთ და ინსტიტუციონალიზებული პარტიული სისტემა ჩამოვაყალიბოთ, რაც სრულფასოვანი დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. არ შეიძლება, ქვეყანა მუდმივად ცხოვრობდეს რევოლუციებისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში და გულხელდაკრეფილი ველოდოთ იმ ნაღმის აფეთქებას, რომელსაც კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ საშუალებით გარედან ხელოვნურად თავს მოხვეული რადიკალიზმი და პოლარიზაცია ჰქვია. სწორედ ამიტომ, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადება არის აუცილებელი პირობა საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებისა და გამართული დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების ჩამოყალიბებისათვის.

2) საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია კონსტიტუციური კანონპროექტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“. ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელება მსოფლიოში და საქართველოში თანდათანობით სულ უფრო საშიშ სახეს იძენს. პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიამ, რომელიც მკრეხელობის, ქრისტიანთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისა და ლგბტპროპაგანდის ძალზე უხეშ, აღმაშფოთებელ ელემენტებს შეიცავდა, კიდევ ერთხელ შეგვახსენა იმ საფრთხის მასშტაბი, რომელიც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელებას უკავშირდება. ამ იდეოლოგიას არაფერი აქვს საერთო ადამიანის უფლებების დაცვასთან და მისი ერთადერთი მიზანი ღირსებისგან, მორალისგან და ყოველგვარი იდენტობისგან ადამიანის სრული დაცლაა. ადამიანმა დანამდვილებით ისიც კი არ უნდა იცოდეს, კაცია თუ ქალი. ადამიანმა არ უნდა იცოდეს საკუთარი ფესვები, საკუთარი ქვეყნის ისტორია, მას არ უნდა ჰქონდეს ეროვნული, რელიგიური თუ პიროვნული იდენტობა. ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის ამოცანა ყველაზე დაბალი რანგის მონის გამოყვანაა, რომელიც მანიპულირებას იოლად დაექვემდებარება. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება „ქართულ ოცნებას“ მისცემს ზემოაღნიშნული კონსტიტუციური კანონპროექტის მიღების შესაძლებლობას, რაც ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვას უმაღლეს, კონსტიტუციურ ხარისხში განამტკიცებს. კონსტიტუციური კანონის მიღების შემდეგ ვერავინ ველარასოდეს მოგვახვევს თავს ერთნაირსქესიანთა ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის, ერთნაირსქესიანთა წყვილის მიერ ბავშვის აყვანის ან სქესის შეცვლის ოპერაციის დაკანონებას, ქალისა და მამაკაცის გარდა, სხვა ე.წ. სქესის სამართლებრივად დადგენას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდას და სხვა მანკიერებებს, რომლებმაც მრავალი ქვეყანა უკვე ძალზე მძიმე შედეგებამდე მიიყვანა;

3) ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში აუცილებელი გახდება საქართველოს კონსტიტუციის ცვლილება, რათა საქართველოს მმართველობის სისტემა და ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა ახალ რეალობასთან მოვიდეს შესაბამისობაში. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს გარშემო მოვლენები ძალზე დინამიკურად ვითარდება, ამგვარი მოცემულობისთვის ნებისმიერ დროს უნდა ვიყოთ მზად. ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივი მიდგომების გათვალისწინებით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ასეთ შემთხვევაშიც გარე დავალებას შეასრულებენ და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის აუცილებელ საკონსტიტუციო ცვლილებებს აუცილებლად წინ აღუდგებიან. შესაბამისად, „ქართულ ოცნებას“ ესაჭიროება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას ვერავინ შეუქმნას დაბრკოლება;

4) არის კიდევ ერთი, მეოთხე საკითხი, რომლის კონსტიტუციით მოწესრიგებასაც საქართველოს თვითმყოფადობისა და ეროვნული ფასეულობების დასაცავად უდიდესი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. თუმცა, ამ საკითხზე კონსულტაციები კვლავაც გრძელდება და მასზე ჩვენს პოზიციას, სავარაუდოდ, თვის ბოლომდე გაგიზიარებთ. ზემოაღნიშნული სტრატეგიული ამოცანების გადაჭრას საქართველოს გრძელვადიანი სტაბილური განვითარებისათვის საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, ამასთან ერთად, არის კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი, და მეტიც — კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაჭრაც „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღებას მოითხოვს. საქართველო ახლაც ომის უშუალო საფრთხის წინაშე დგას, რომლის თავიდან არიდება დღეს და ხვალ საქართველოს უპირველესი ამოცანაა. საკმარისია მცირე გადაცდომა, ერთი ფეხის გადაბრუნება და ქვეყანა შეიძლება საერთოდ დავკარგოთ, რის შემდეგაც არა მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებს, არამედ საერთოდ არაფერს ფასი აღარ ექნება. ახლა, როდესაც რეგიონში ომი უკანასკნელ თვეებს ითვლის, ქართულ საზოგადოებას მართებს მაქსიმალური მობილიზაცია, რათა დღემდე დიდი ძალისხმევით შენარჩუნებული მშვიდობა ხელიდან არ გავუშვათ და ქვეყანას ნგრევა და განადგურება თავიდან ავაცილოთ. ახლა მთავარია, ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყანა როგორმე შევინარჩუნოთ და შემდეგ მის შეუფერხებელ განვითარებას ველარაფერი დაუდგება წინ.

2020 ან 2021 წელს სახლში დარჩენილ ან ოპოზიციის ამომრჩეველს რომ გაემარჯვა, დღეს საქართველო უკრაინაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და ქვეყანა აღარ გვექნებოდა. სამომავლოდ, ამგვარი რისკი თეორიულ დონეზეც კი აღარ უნდა დავუშვათ. რაც უფრო დიდი იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო მხარდაჭერა, მით უფრო მცირე იქნება საქართველოს არაკეთილმოსურნეთა ცდუნება, კიდევ ერთხელ სცადონ ქვეყნის არევა, ხელისუფლებაში აგენტურის, ანუ ადგილობრივი ომის პარტიის დაბრუნება და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა. რაც უფრო დიდი იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო მხარდაჭერა, მით უფრო მშვიდი იქნება ნოემბერი, დეკემბერი და მომდევნო 4 წელიწადი. რაც უფრო მეტი იქნება „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა, მით უფრო ნაკლები ბარიერი შეექმნება ქვეყნის საერთო წინსვლას და ეკონომიკურ განვითარებას. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველი ამოცანა ამ არჩევებზე მშვიდობის მაქსიმალურად განმტკიცებაა, რისთვისაც თითოეული ამომრჩევლის ხმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, მანდატების რამდენ პროცენტსაც მიიღებს „ქართული ოცნება“, ზუსტად იმდენი პროცენტით განმტკიცდება და გამყარდება მშვიდობა ჩვენ ქვეყანაში.

გარდა ამისა, რაც უფრო მეტ ხმას მიიღებს „ქართული ოცნება“, მით უფრო სწრაფად და ეფექტიანად გადაიტვირთება საქართველოს ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან და მით უფრო მტკიცედ იქნება დაცული საქართველოს ეროვნული ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე. შესაბამისად, საჭიროა ქუდზე კაცი იმისათვის, რომ ქვეყნის დაკარგვის თეორიული რისკიც კი არ დავუშვათ და საქართველომ საერთაშორისო პოლიტიკაში თავისი პოზიციები მაქსიმალურად განიმტკიცოს. „ქართული ოცნებისთვის“ მიცემული თითოეული ხმა ნიშნავს მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების უფრო მტკიცე გარანტიას საქართველოსთვის. მოვუწოდებთ ყველა ჩვენს თანამოქალაქეს, რომლისთვისაც ძვირფასია საქართველოში მშვიდობა, ქვეყნის სტაბილურობა და ტრადიციული ფასეულობები, 26 ოქტომბერს გამოვიდეთ ქუდზე კაცი და შევქმნათ მყარი ფუნდამენტი საქართველოს ეროვნული იდენტობის დასაცავად და ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად. ვისთვისაც ძვირფასია ქვეყანა, გადადეთ ყველაფერი და გამოდით არჩევნებზე, გვერდზე გადადეთ ყველანაირი ვიწროპოლიტიკური საკითხი, რადგან ამ არჩევნებზე არა პოლიტიკის, არამედ ქვეყნის გადარჩენის საკითხი წყდება. ყველაფერი ჩვენს ხელშია, საქართველოს ბედი ჩვენს ხელშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ და მომავალ თაობას სამართავად თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი საქართველო დავუტოვოთ“, — ნათქვამია განცხადებაში.

მაყვალა წიკლაურის 80 წლის იუბილე

15 აგვისტოს, სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლში, კულტურის ამაგდარი მუშაკის მაყვალა წიკლაურის საიუბილეო საღამო გაიმართა. მას დაბადებიდან 80 და კულტურის სფეროში მოღვაწეობიდან 60 წელი შეუსრულდა. სასწავლებელში ჩასაბარებლად მუსიკის გამოცდაში ორიანი დაუწერეს და ჩაჭრეს, თუმცა იმედგაცრუებას არ მიეცა და არც პროფესიის შეცვლაზე უფიქრია. ამბობს, რომ სხვა სფეროში საკუთარი თავი მუსიკის გარეშე ვერც წარმოედგინა. სოფლის კოლორიტი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ მოღვაწეობის 60 წლიდან ნახევარი კულტურის სახლში სრულიად უხელფასოდ გაატარა, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია ენთუზიაზმით ეღვაწა.

ღონისძიებას უძღვებოდა კულტურის ცენტრის ქედების ზონის კოორდინატორი მაია ყველაშვილი. მან დამსწრე საზოგადოებას, ქ.ნ. მაყვალას მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია გააცნო და კულტურის სფეროში მის დამსახურებებზე ისაუბრა. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი იუბილარის და-ძმა ნიკოლოზ და ნატო წიკლაურები. მათ ერთად შეასრულეს სიმღერები და მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

ღონისძიების მსვლელობისას ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქედების ზონის სოფლების - ზემო ქედის, ქვემო ქედისა და სამთაწყაროს ფოლკლორული ანსამბლები. (ხელმძღვანელები- მაყვალა წიკლაური, თამუნა კობაიძე, ნოდარ შაინიძე, ანა ლოლაშვილი).

საღამოს ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.მან ქ.ნ. მაყვალას მიულოცა იუბილე და მადლობის სიგელი, ყვავილების თაიგულთან და ფულად ჯილდოსთან ერთად გადასცა. იყო დაუვიწყარი დღე, როგორც იუბილარისთვის, ასევე დამსწრე საზოგადოებისთვის, სიყვარულითა და პატივისცემით გაჟღენთილი.

მაია ყველაშვილი: „ჩემი იდეა იყო, რომ იუბილე ღირსეულად აღგვენიშნა. ეს ის ადამიანია, ვინც მრავალი წელი სცენაზე გაატარა, ამდენი თაობა აღზარდა და მას მართლა ეკუთვნოდა ამ თარიღის გადახდა. მხარდაჭერა გამოგვიცხადა ხელმძღვანელობამაც და ერთობლივი ძალებით შევძელით ლამაზი დღე გამოსულიყო. ერთი თვე ვემზადებოდით ამისათვის და ძალიან კმაყოფილი ვარ, ჩანაფიქრის განხორციელება სრულად შევძელით. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და მიზანი მიღწეულია, მოვეფერეთ და ღვაწლი დავუფასეთ ჩვენს ძვირფას ქალბატონს. ასაკის მიუხედავად,

ის სამსახურში ჩვენი სტიმულია. ყოველთვის ცდილობს ჩვენი განწყობის გახალისებას და სტიმულს გვაძლევს. მისი შემართება ნამდვილად გადამდებია თითოეული ჩვენთაგანისთვის და ღმერთმა ყველას მისცეს ის ენერგია, რასაც 80 წლის ასაკში ის ახერხებს. ბედნიერები ვართ, რომ ჩვენს გვერდითაა და ისევ აქტიურად მუშაობს.

სოფლის კოლორიტი მაყვალა წიკლაური დაიბადა 1944 წლის 13 აგვისტოს. მის ოჯახში ყველა მღეროდა, დედ-მამა, და-ძმები და ბიძაშვილები, ამიტომ, მათი ყოველი დილა სიმღერით იწყებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სცადა საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობაზე ტექნიკუმში ჩაებარებინა, მაგრამ მაშინ სიმღერის გამოცდაზე ორიანი მიიღო. თბილისიდან დაბრუნებისთანავე სოფლის კულტურის სახლში დაიწყო მუშაობა. იმ დროს კლუბში სულ სამი ადამიანი მუშაობდა, ამიტომ ღონისძიებებს ძირითადად მოხალისეების დახმარებით და მონაწილეობით ატარებდნენ. 1971 წლიდან კულტურის სახლში ჩამოყალიბდა ქართულ-ხალხურ საკრავთა ორკესტრი, სადაც მონაწილეობდნენ სოფლის მოხალისე ახალგაზრდები. ორკესტრის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი აქვს აწ განსვენებულ არსენ კობაიძეს. ზემო ქედელებისთვის ახალი ინსტრუმენტების დასაუფლებლად კოლმეურნეობამ გამოცდილი სპეციალისტები მოიწვია. ორკესტრს ორი თვის განმავლობაში სათავეში ედგა მოწვეული სპეციალისტი დალი კანდელაკი. შემდეგ კი ორკესტრს მომღერალთა გუნდიც დაემატა, რომელსაც იუბილარის და, ნატო წიკლაური ხელმძღვანელობდა. მალევე ნატო თბილისში გადავიდა და ორკესტრსაც და ანსამბლსაც სათავეში ჩაუდგა ქალბატონი მაყვალა წიკლაური, რომელიც დღემდე უცვლელად ხელმძღანელობს. ჯერ მისი ძმისშვილი იმსხვერპლა ბრმა ტყვიამ, შემდეგ ქალბატონი მაყვალას შვილიშვილი ტრაგიკულად დაიღუპა და ბევრჯერ დაეპირა წასულიყო, მაგრამ ისევ მონახა საკუთარ თავში ძალა და ერთგულად ემსახურა სოფელს. ქალბატონი მაყვალას ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობდა თითქმის ყველა კულტურულ ღონისძიებაში. გვერდით ედგნენ მისი მეუღლე, და-ძმა, რძალი და 80 წლის დედა, რომელიც სპექტაკლ „მთიულურ ქორწილში“ ტრადიციულ ძველებურ მთიულურს ცეკვავდა. ორკესტრი კი შედგებოდა რვა სხვადასხვა სახეობის ინსტრუმენტისგან. ქალბატონი მაყვალა კი, ყველას ერთნაირად კარგად ფლობდა. ამისათვის მას ლექსიც კი მიუძღვნა ლალი წიკლაურმა. მართლაც, მრავალმა თაობამ, გოგონამ და ბიჭმა გაიარა ქალბატონი მაყვალას ხელში. მათი ნაწილი დარბაზშიც გვესწრებოდა. მაყვალა წიკლაურის მრავალწლიანი და დაუღლელი მუშაობის შედეგია, რომ მის ანსამბლს სახალხო ანსამბლის წოდება ჰქონდა მიღებული. აგრეთვე მრავალი მედალი და სიგელი, როგორც პირადი, ისე გუნდური. ამიტომაცაა, რომ ის ღირსების მედლითაა დაჯილდოვებული. გავიხსენეთ ყველა ის გარდაცვლილი ადამიანი, ვინც კულტურის სახლს გვერდით ედგნენ და სოფელს ემსახურებოდნენ: სანდრო წიკლაური, იოსებ ქიმოსტელი, შალვა ხუციშვილი, გოგი კავთიაშვილი, ავთო ბურდული, თამარ უგრეხელიძე, ბიჭიკო ბაშარული. მათ ვინც ცოცხლები არიან, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვეთ“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „მინდა განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მივულოცო ქალბატონ მაყვალას დაბადებიდან 80 წლის იუბილე და შემოქმედებითი მუშაობის 60 წლისთავი. ამდენი წელი ქედების ზონაში ხელოვნების სფეროში მოღვაწეობა ადვილი საქმე არ არის. ეს ყველას არ შეუძლია, მაგრამ ქალბატონი მაყვალა უდაოდ ნიჭიერია და მიხარია, რომ ერთ პერიოდში მოგვიწია ცხოვრება და მუშაობა. სამწუხაროდ, ეს ანსამბლი და თქვენი შემოქმედება პირველად ვნახე და გული მწყდება, რომ ეს საკონცერტო ნომრები დედოფლისწყაროში გამართულ ღონისძიებებზე არ არის წარმოდგენილი. მინდა გთხოვოთ, რომ შემდეგში დედოფლისწყაროშიც ამოხვიდეთ ხოლმე და ჩაერთოთ ღონისძიებებში. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა შევინარჩუნოთ თაობათა უწყვეტი ჯაჭვი. მინდა ყველას დიდი პატივისცემა დაგიდასტუროთ. განსაკუთრებით გულში ჩამწვდომი იყო 85 წლის ნიკო პაპას წკრიალა ხმა, ყველაზე პატარა მომღერალი 7-8 წლის გიგოა. ეს კავშირი არსად არ დაიკარგება, ეს სიყვარული, პატივისცემა და უფროს-უმცროსობა სწორედ ასეთ ურთიერთობებში მიიღწევა. ქედების ზონა, დედოფლისწყარო და ეს მხარე არის ნიჭიერების უწყვეტი წყარო და სწორედ ქალბატონი მაყვალასნაირი ადამიანები გვჭირდება, რომლებიც ნიჭიერ ბავშვებს აღმოაჩენენ და გზას უჩვენებენ. სფერო არ არსებობს, სადაც დედოფლისწყაროს არ ჰყავდეს მაგარი წარმომადგენელი. ასეთ ნიჭიერ ადამიანებს ქალბატონი მაყვალასნაირი თავდადებული მოღვაწეები ზრდიან. ბევრი ისეთი წელი გამოვიარეთ, როცა გადარჩენაზე იყო საუბარი, მაგრამ ამ დროსაც კი ამ სცენაზე, ამ სოფლებში ფანდური არ დადუმებულა და სიმღერა არ შეწყვეტილა. ეს ყველაფერი ადამიანებს შინაგანად აქვთ და ეს სულიერი საზრდო გვჭირდება, სხვანაირად არ შეგვიძლია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გვინდა წელს ქალბატონ მაყვალას დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მივანიჭოთ. ეს ჩვენი რაიონის უმაღლესი ჯილდოა და მას „დედოფლისწყაროობის“ დღესასწაულზე ყოველწლიურად გავცემთ ხოლმე. წელს უამინდობის გამო ეს ცერემონია გადაიდო, თუმცა იმედი მაქვს, სექტემბერში ჩატარდება და ქალბატონ მაყვალას საპატიო დედოფლისწყაროელად დავასახელებთ. ამაზე დიდ მადლიერებას დედოფლისწყარო სხვაგვარად ვერ გამოხატავს თავისი მოქალაქის მიმართ. მგონია, რომ მაყვალა წიკლაურმა ეს დაიმსახურა და კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ეს დღე და წარმატებები გისურვოთ.“

გაზეთი „შირაქი“ ღონისძიების დასრულების შემდეგ იუბილარს ესაუბრა და მისი ემოციებით დაინტერესდა. ის საზოგადოებას დაფასებისთვის მადლობას უხდის.

მაყვალა წიკლაური: „ზემო ქედში დავიბადე და გავიზარდე, აქვე დავამთავრე ათწლიანი სკოლა. სახლში პატარა გარმონი გვქონდა და ყველაფერი იმით დავიწყე, შემდეგ მამამ ფანდური გამოთალა და ის შევისწავლე. პიანინო და აკორდეონი კი სკოლაში ვისწავლე. ისეთი დრო იყო, პედაგოგები ჭირდა, ფორტეპიანოს მასწავლებელიც ქედში არ არსებობდა და ყველა ინსტრუმენტის ათვისებას ჩვენით ვცდილობდით. ამ ცოდნით წავედი ტექნიკუმში ჩასაბარებლად, საგუნდო—სადირიჟოროზე მინდოდა მესწავლა. მანამდე ჩემმა დამ ჩააბარა, ის თავისუფლად მოხვდა. შემდეგ ჩემი მომზადებული ახალგაზრდაც მოეწყო და შეგულიანებული ვიყავი. 7 ადგილი და ბევრი მსურველი იყო, ამიტომ მეუბნებოდნენ, ფული თუ გაქვსო. „ფული არა, მაგრამ ჩემი ნიჭის იმედი მაქვს მეთქი“. მაფრთხილებდნენ: „აქ ისეთი ამბავიაო, უფულოდ ვერ მოეწყობიო“. მაშინ ისეთი დრო იყო, „ჩაწყობა“ მიღებული იყო და მე კი უფულოდ წავედი. პირველივე გამოცდა სპეციალობაში იყო, პიანინოსა და ფანდურზე დამაკვრევინეს. მეგონა კარგად ჩავაბარე, მაგრამ პასუხების გასაგებად რომ მივედი, სპეციალობაში ორიანი მეწერა. ამდენად, ჩავიჭერი და შემდეგ გამოცდებზე აღარ დამიშვეს. დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ ფულის გამო ჩამჭრეს. 700 მანეთი არ გადავიხადე და ამიტომ ვერ მოვეწყე. ამის გამო იმედი არ გამცრუებია და ხელი არ ჩამიქნევია. ვიცოდი, უფასოდ მოწყობა რთული იყო, მაგრამ მაინც ვცადე, ვფიქრობდი, იქნებ გამომივიდეს მეთქი. იმედგაცრუებას ვერ დავუშვებდი, რადგან თავიდან ფეხებამდე მუსიკით ვიყავი მოცული და იმდენად შეყვარებული, რომ სხვა სფეროში მუშაობა არც წარმომედგინა. სკოლაში ცუდად არ ვსწავლობდი, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც სიმღერას ვაყენებდი და მიყვარდა, ამიტომაც ბოლომდე აქ დავრჩი, სხვა არაფერზე მიფიქრია. მაშინ სხვა დრო იყო, პროფესიების არჩევა და განათლების მიღება ამდენად ხელმისაწვდომი არ იყო, როგორც ახლაა. წლების მანძილზე მუსიკა იმდენად ჩაჯდა ჩემს ტვინსა და გულში, სხვა პროფესია აღარც მდომებია.

ჩაჭრისთანავე სოფელში დავბრუნდი და მუშაობა დავიწყე. 1964 წელს ზემო ქედის კულტურის სახლში მივედი და 1992 წლამდე უხელფასოდ, მოხალისედ ვიმუშავე, გეფიცებით, კაპიკი არ ამიღია. შტატი არ არსებობდა და ანაზღაურებას ვერ ვიღებდი, მაგრამ ჩემი საქმე იმდენად მიყვარდა, რომ 28 წელი, ანუ შრომითი სტაჟის ნახევარი ენთუზიაზმზე ვიმუშავე. არასოდეს დამზარებია და მიღალატია ჩემი საქმისთვის. შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ არსენ კობაიძემ გამოყო შტატი და 50 მანეთს კოლმეურნეობა მიხდიდა. თუმცა, მალე საბჭოთა სისტემა და კოლმეურნეობები გაპარტახდა და ისევ უხელფასოდ ვრჩებოდი. იმხანად კულტურის განყოფილების გამგე, ნელი გობეჯიშვილი, სამინისტროში წავიდა და იქიდან ორი შტატი დააშვებინა. ლოტბარად მე ჩამსვა, აკომპანიატორად კი ჩემი მეუღლე, მე 150 მანეთს ვიღებდი, მეუღლე 80-ს. ლექსებს მეუღლე წერდა, მელოდიასაც ხან ის ქმნიდა, ზოგჯერ მე და ასე ვასრულებდით ჩვენს მიერ შექმნილ სიმღერებს.

სკოლაში სწავლისას გუნდი მოქმედებდა, მაგრამ პედაგოგი არ გვყავდა, თავად ვმეცადინეობდით დამოუკიდებლად და გუნდს უფროსკლასელები ხელმძღვანელობდნენ. მასწავლებლის გარეშე ვემზადებოდით, მაგრამ ოლიმპიადებზე მუდმივად გავდიოდით და კარგი შედეგები გვქონდა, ხშირად პირველ ადგილზე გავდიოდით. მაშინ ზემო ქედის სკოლის დირექტორი იყო გოგია გვრიტიშვილი, ძალიან უყვარდა ხელოვნება, ხელს გვიწყობდა, უნდოდა გამარჯვებები მოგვეპოვებინა. მკაცრი კაცი იყო და მის დროს განსაკუთრებული რეჟიმი არსებობდა სკოლაში. შემდეგ რვაწლედი სკოლა გაიხსნა და დირექტორი იქ გადაიყვანეს.

/დასასრული ბოლო გვერდზე/

ვისწავლოთ ცხადი სიზმრების გამოწვევა

ცხადი სიზმრების გამოსაწვევად შემუშავებულია არაერთი ტექნიკა. მათგან ყველაზე მარტივი შეიცავს ხელის მტევანზე ასო „ც“-ს დაწერას (რაც ცნობიერებას ნიშნავს).

ყოველთვის, როცა თვალს მოჰკრავთ ამ ასოს, ჰკითხეთ საკუთარ თავს–„ცხადში ვარ თუ სიზმარში?“ დროდადრო, დღეში სამჯერ, სხვადასხვა სიტუაციებში ამოწმეთ ასე საკუთარი თავი. ამ რეჟიმში ყოფნის გამო შეეჩვიეთ იგივე კითხვის დასმას ძილშიც და ეს შესაძლებლობას მოგცემთ,გააცნობიეროთ, რომ სიზმარს ხედავთ. ამ კითხვის დასმა ძალზე მნიშვნელოვანია იმგვარ სიტუაციებში, რომლებიც სიზმარს ჰგავს. ამრიგად, ადამიანს შეუმუშავდება სავსებით ფხიზელი, კრიტიკულ-მჭვრეტელობითი განწყობა საკუთარი ცნობიერების მომენტალური მდგომარეობების მიმართ, ეს განწყობა მას სიზმრის მდგომარეობაშიც გაჰყვება. განსაკუთრებით ეფექტურია ამგვარი კითხვის დასმა საღამო ხანს, ძილის წინ.

გთავაზობთ ცხადი სიზმრის გამოწვევის ერთ-ერთ ვარიანტს:

1.პირველ ყოვლისა, იქონიეთ ჟურნალი, სადაც სიზმრებს ჩაიწერთ. ეს სიზმრის გახსენების უნარის გასაუმჯობესებლად საუკეთესო გზა არის.

2. დღეში რამდენჯერმე ჰკითხეთ საკუთარ თავს „სიზმარში ხომ არა ვარ“?

3.ამასთანავე, სცადეთ წარმოიდგინოთ, და რაც შეიძლება მკაფიოდ, რომ სიზმარში ხართ და რომ ყველაფერი, რასაც აღიქვამთ, მათ შორის საკუთარი სხეულიც -სიზმრის ფიქციას წარმოადგენს.

4. ყოველ სიტუაციაში, რომელიც სიზმრისმაგვარია-ანუ, როცა რაღაც უჩვეულო ხდება, ან როცა ძლიერ ემოციებს განიცდით-ჰკითხეთ საკუთარ თავს-„სიზმარში ხომ არა ვარ?''

5. თუ თქვენს სიზმრებში განმეორებით ჩნდება ერთი და იგივე მომენტები- მაგ. შიშის ხშირი განცდები- ჰკითხეთ-სიფხიზლეში საკუთარ თავს-„ხომ არ მძინავს?' და დადექით იმ სიტუაციის წინაშე, რომელიც ძილში გაშინებთ.

6.თუ გაქვთ სიზმრისეული განცდები, რომლებიც შუძლებელია გქონდეთ ცხადში- როგორიც არის, მაგალითად, ფრენა, ეცადეთ ამ განცდის წარმოდგენას სიფხიზლეშიც და, ამავე დროს, თქვენ თავს უთხარით, რომ ეს გესიზმრებათ.

7. როცა დასაძინებლად ემზადებით, ნუ ცდილობთ იქონიოთ ცხადი სიზმრები. უბრალოდ, უთხარით საკუთარ თავს, რომ სიზმარში ცნობიერების შენარჩუნებას აპირებთ. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია, თუ ადრე გამოგელვიძათ და ძილის გაგრძელებას ფიქრობთ.

8.გადაწყვიტეთ, დაისიზმროთ რაიმე მარტივი მოქმედება- დალიოთ ჭიქა წყალი, შეიკრათ ფეხსაცმლის ზონრები და სხვა.

დაეუფლეთ ამ მეთოდს და იგი დაგეხმარებათ საკუთარი ფანტაზია თქვენს ნებაზე მართოთ.

გესიკ გიგოლაშვილი,
ფსიქოლოგი

შეხვედრა ახალგაზრდულ ცენტრში

20 აგვისტოს, ახალგაზრდობის ცენტრში,დედოფლისწყაროს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა უმასპინძლეს ამერიკული **FLEX**-ის სასწავლო პროგრამის გამარჯვებულს, სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მოსწავლეს **თაკო ბენაშვილს.** (ლიდერთა გაცვლითი პროგრამა შესაძლებლობას ახლევს ქართველ მოსწავლეებს ისწავლონ ამერიკულ სკოლებში.)

თაკომ თანატოლებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება. ისაუბრა, თუ რაზეა დამოკიდებული ამ პროგრამაში მოხვედრა. გასცა ახალგაზრდების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხი. შეხვედრა მეტად საინტერერესოდ წარიმართა. თანატოლებმა თაკოს წატმატება და მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს, რომელიც მას სულ რამდენიმე დღეში ელის.

ნინო ალადაშვილი ***(ცენტრის სპეციალისტი ახალგაზრდობის საკითხებში):*** „ამ ნიჭიერი გოგონას შესახებ ინფორმაცია სწორედ გაზეთ „შირაქის“ ფურცლებიდან შევიტყვე, სადაც მისი წარმატებების და სამომავლო გეგმების თაობაზე ინტერვიუ გამოქვეყნდა.. თავად ბავშვების მხრიდანაც წამოვიდა ინტერესი, რომ ის პირადად გაეცნოთ და პირისპირ საინტერესო დიალოგი შემდგარიყო. ამიტომ, სკოლის დირექტორის მეშვეობით დავუკავშირდი, მოვიწვიე და შეხვედრა დავნიშნეთ. საბოლოო ჯამში საინტერესოდ წარიმართა, ბიჭებიც კი ამ შეხვედრას ბოლომდე დაესწრნენ და აქტიურობდნენ. საკმაოდ კარგი რჩევები მისცა თანატოლებს და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ისაუბრა იმაზე, თუ როგორ უნდა განავითარონ საკუთარი თავი და ისარგებლონ სხვადასხვა სასწავლო პროგრამებით. სამუშაო გეგმის მიღმა ჩავატარეთ ეს აქტივობა და ასეთი შეხვედრები ახალგაზრდულ ცენტრში პერიოდულად იმართება. სექტემბრიდან კიდევ უფრო აქტიურ მუშაობას ვგეგმავთ.“

თაკო ბენაშვილი: „რამდენიმე დღის წინ მიმიწვიეს დედოფლისწყაროს ახალგაზრდულ ცენტრში, სადაც შევხვდი უამრავ მოტივირებულ და მიზანდასახულ ახალგაზრდას. შეხვედრამ ძალიან პოზიტიურად და საინტერესოდ ჩაიარა. მათ დიდი ინტერესი გამოხატეს ფლექსის პროგრამის მიმართ, რაც ძალიან მახარებს.

შეხვედრაზე დეტალურად ვისაუბრე ფლექსის პროგრამის ეტაპებზე, როგორ უნდა მოემზადონ და რა მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გასავლელი, მივეცი პრაქტიკული რჩევები. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ პირადი გამოცდილება გამეზიარებინა მათთვის - როგორ გადავლახე სირთულეები და როგორ მაძლევს პროგრამა განვითარების, სწავლისა და ახალი კულტურის გაცნობის შესაძლებლობას.

მოხარული ვარ, რომ შეხვედრამ ბავშვებში ასეთი ინტერესი გამოიწვია. ისინი აქტიურად ისმენდნენ, მისვამდნენ კითხვებს და აშკარა იყო, რომ სურთ მსგავსი შესაძლებლობების გამოყენება საკუთარი მომავლისთვის.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ნინო ალადაშვილს ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის. მისი წვლილი ახალგაზრდების განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ის ეხმარება მათ არა მხოლოდ საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენაში, არამედ აძლევს მიმართულებას, აჩვენებს გზას, რომელიც მათთვის საინტერესო და წარმატების მომტანი იქნება. ასეთი შეხვედრები დიდი მოტივაციაა ახალგაზრდებისთვის, და მჯერა, რომ ისინი შეძლებენ თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზებას.

შესაძლებლობები და პროგრამები ძალიან ბევრია ჩვენს გარშემო, თუმცა მათი გამოყენება დამოკიდებულია ჩვენს მონდომებაზე, შრომასა და მზადყოფნაზე, რომ შანსები ხელიდან არ გავუშვათ. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები დიდი ენთუზიაზმით, აქტიურობითა და მიზანდასახულობით გამოირჩევიან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი არამარტო გამოიყენებენ ამ შესაძლებლობებს, არამედ წარმატებებსაც მიაღწევენ და თავიანთ რეგიონს წარმოაჩენენ.

27 აგვისტოს მივემგზავრები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოდასავლეთის ცენტრალურ რეგიონში, შტატ მისურიში, სადაც ჩემი მასპინძელი ოჯახი მელოდება. იქ 1 წელს გავატარებ.“

ილია მარტყოფლიშვილი

რა მოსდის საპენსიო დანაზოგს მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში?

ხშირად ისმის კითხვა, რა მოსდის საპენსიო დანაზოგს, მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში.

როგორც საპენსიო სააგენტოს ვებგვერდზეა განმარტებული, მონაწილის გარდაცვალების შემთვევაში, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო აქტივებს შესაბამისი თანხა, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით, გადაეცემა მონაწილის კანონიერ მემკვიდრე(ებ)ს.

ასევე განმარტებულია, რომ საპენსიო სააგენტოსთვის მონაწილის მემკვიდრის სათანადო მომართვის შემთხვევაში, მონაწილის მემკვიდრისთვის საპენსიო აქტივების გადაცემა შეიძლება ერთიანი გადახდით, ან საპენსიო აქტივების მონაწილის მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანის გზით.

ცნობისათვის, საპენსიო სააგენტოს 31 ივლისის სტატისტიკური მონაცემებით, საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ მონაწილეთა რაოდენობა 1 მილიონ 539 ათასი ადამიანია. ამავე პერიოდისთვის, დაგროვებითი პენსიით უკვე ისარგებლა სხვადასხვა კატეგორიის 11 858-მა პირმა, მათზე პენსიის სახით გაიცა 42.3 მლნ ლარი.

სააგენტოს მონაცემით, საანგარიშო პერიოდში საპენსიო აქტივების ღირებულება, შეადგენს 5.3 მლრდ ლარს, მათ შორის დაგენერირებულმა ამონაგებმა 1.15 მლრდ ლარს გადააჭარბა.

რამდენი წლით გაიცემა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტო გასცემს.

ლიცენზიის ღირებულება დამოკიდებულია მოთხოვნილი რესურსის რაოდენობასა და ლიცენზიის მოქმედების ვადაზე. ლიცენზიის ნაწილის ან მთლიანად გადაცემა შესაძლებელია იჯარის ფორმით ან საკუთრებაში.

ლიცენზიის გადაცემა შესაძლებელია ყველა სუბიექტზე (მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე/კომპანიაზე), რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადამხდელად არის დარეგისტრირებული შემოსავლების სამსახურში.

ლიცენზიის ვადები განისაზღვრება წიაღით სარგებლობის სახეების მიხედვით:

ა) ენერგეტიკული დანიშნულების წიაღისეულისათვის — 45 წლამდე;

ბ) შავი და ფერადი ლითონების მადნებისათვის — 40 წლამდე;

გ) სამშენებლო მასალებისათვის — 30 წლამდე;

დ) სხვა არამადნეული წიაღისეულისათვის — 30 წლამდე;

ე) მიწისქვეშა წყლებისათვის და ბუნებრივი არასაწვავი აირებისათვის — 25 წლამდე;

ვ) წიაღისეულის მოპოვებასთან დაუკავშირებელი ნაგებობების მშენებლობისათვის — 45 წლამდე;

ზ) წიაღის შესწავლისათვის — 5 წლამდე.

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1961 WELI

● CVENS MOSWAVLE-AXALGAZRDOBAS MAMOBRIVMZRUNVELOBAS AR AKLEBEN MSOBLIURI KOMUNISTURI PARTIA DA SABWOTA MTAVROBA. AMAZE MOWMOBS SKKP PROEQTSI GATVALISWINEBULI GEGMEBI. MARTO WITELWYAROS RAIONSI DREIDAN SAWARMOO SWAVLEBAZE IMECADINEBS EQVSI SASUALO SKOLA. BEVRI ERTCVLIAN SWAVLEBAZE GADADIS, AMITOMAC CVENI BAVSVEBIS LTOLVA DAXALISI SWAVLISAKEN, DRITIDRE UFRO MARAL SAFEXURZE ADIS. EWVI AR ARIS, ROM RAIONIS MSROMELEBTAN ERTAD DID SROMIT WARMATEBEBS MIARWEVEN CVENI SAXELOVANI PEDAGOGEBIC.

● PIONERULI ZAFXULI DAMTAVRDA. MARTO 68 PIONERUL BANAKSI, ROMLEBIC RESPUBLIKIS PROFKAVSIREBMA MOAWYVES, ZAFXULI BEDNIERAD GAATARA MUSEBISA DA MOSAMSAXUREEBIS 36 ATASMA BAVSVMA PIONERULI BANAKIS SESANISNAVI SENOBEBI ASENDA SAUKETESO KURORTEBZE.

● SOFEL ARXILOSKALOS SKOLASIC SIAMAYIT DAIREKA ZARI. SKOLIS DIREQTORMA GIORGI TOKLIKISVILMA XUTOSAN 35 MOSWAVLES JILDOD WIGNEBI GADASCA. SWAVLA DAIWYO ZEMO QEDIS SKOLASIC, ROMELIC ERTERTI MOWINAVEA RAIONSI. MIS MARADMWVANE DEKORATIUL BARSI SIXARULI CADGA DA DASVENEBULI BAVSVEBI JGUFJGUFAD ERTMANETS ARDADAGEBIS EMOCIEBZE UZIAREBDNEN. SKOLIS DIREQTORMA G. GVRITISVILMA XUTOSAN 54 MOSWAVLES JILDOEBI DA QEBIS SIGELEBI GADASCA.

● ARBOSIKSIC DAIREKA SKOLIS ZARI. 470 MOSWAVLE MIUJDA MERXS DA SWAVLA DAIWYO. WELS SKOLA ERT CVLAZE IMUSAVEBS, XOLO MECXRE KLASI 22 MOSWAVLIT GADAVIDA SAWARMOO SWAVLEBAZE.

1973 WELI

● BEVRI SIAXLIT IWYEBA 1973-74 SASWAVLO WELI CVENS RAIONSI. EQSPLOATACIASI GAESVA QALAQ WITELWYAROS #2 SASUALO SKOLIS AXALI SENOBA. SEZENILIA AXALI INVENTARI, LABORATORIEBI, SKOLA DAKOMPLEQTDA KVALIFICIURI PEDAGOGEBIT.

1976 WELI

● AXALI SASWAVLO WELI IWYEBA. WITELWYAROS SKOLEBSI KI DAMLAGEBLEBIS UKMARISOBIS PROBLEMA SERIOZULAD DGAS. ASE MAGALITAD, SOFEL GAMARJVEBIS SKOLASI YVELAFERI MZADAA, KLASEBI DAKOMPLEQTEBULIA, KONTINGENTI GANSAZRVRULIA, TUMCA IYO DA KVLAVAC PROBLEMAD RCEBA DAMLAGEBLEBIS UKMARISOBA, RAC ZEGAVLENAS AXDENS SKOLASI SANITARULI WESRIGIS DAMYAREBAZE. ROGORC CANS AQAC SEFEBMA UNDA GAUWODON SKOLAS DAXMAREBIS XELI, TOREM SKOLA UDAMLAGEBLOD? _ ES DREVANDELOBASI UKVE METAD ARASASIAMOVNO FAQTIA. SKOLIS EZOSI ROM GAMOVEDIT, NICAB-COCXIANI MOSWAVLETA SIMRAVLE TVALSISACEMI IYO. MATTAN GASAUBREBA GANVIZRAXET, MAGRAM MATI SAQMIANOBA ISEDAC METYVELEBDA, ROM SKOLIS AM PATARA MKVIDRT ISEDAC SAKUTAR TAVZE METAD UYVART AQAUROBA DA MATI MSOBLIURI BUDIS TITOEULI KUTXE-KUNWULI. AMITOMAC TAVDAUZOGAVAD ZRUNAVEN MIS SISUFTAVEZE, RATA MOMZADEBULI DA GAKRIALEBULI DAXVDES AXAL SASWAVLO WELS, ISE ROGORC DILIS PIRMCINAR MZES CVENI KEKLUCI MAMULI EGEBEBA YOVELGARIJRAJZE.

● SUBLNATELI, KOPWIA, MORIMARI DA DAMSVENEBULI XVDEBA AXALI SASWAVLO WLIS DAWYEBAS AXLA UKVE REKONSTRUQCIAQMNILI QALAQ WITELWYAROS SAMUSIKO SKOLA. SKOLIS FARTO DA NATELI OTAXEBIS MYUDROEBAS AMIERIDAN MUSIKIS ANBANS DAWAFEBULI BAVSVEBIS NAZI TITEBIT AJREREBULI HANGEBI DAARRVEVS. AXMIANDEBA SKOLA DA NIWIEREBIS SAMSAXURSI CADGEBA. ASE ROM, BEJITI SWAVLITA DA DAURALAVI SROMIT VUPASUXOT PARTIIS ZRUNVAS!..

● SOFEL ZEMO MACXAANSI 1 SEQTEMBERS SWAVLA DAIWYO 502-MA MOSWAVLEM. BAVSVEBIS KOMUNISTURI SULISKVETEBIT ARZRDAS EMSAXUREBA 47 MASWAVLEBELI, AQEDAN 43 UMARLESI GANATLEBITAA. KVALIFIKACIIS ASAMARLEBLAD IMYOFEBODA 5 MATGANI. ZEMO MACXAANIS SKOLIS MOSWAVLEEBS ARDADAGEBI UQMAD ARGAUTAREBIAT. MAT AQTIURI MONAWILEOBA MIIRES MSOBLIURI SOFLIS KOLMEURNEOBIS SROMIT SAQMIANOBASI. MATI GARJIT CADEBULIA 1 500 TONA SILOSI DA DAMUSAVDA 80 HEQTARZE METI VENAXI. AMAS GARDA, SKOLIS REMONTZE KARGAD IMUSAVES MOSWAVLEEBMA NUGZAR YOCIASVILMA, VAXTANG LEKASVILMA, GELA NATROSVILMA, GIA NASRASVILMA, GIA BOSTORANASVILMA DA SXVEBMA.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მწერები ფიროსმანის ორიგინალებზე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი აცხადებს, რომ დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში დროებითი ექსპოზიციისას გარედან შემოტანილ რამდენიმე ექსპონატზე აღმოჩნდა მწერები, რის შემდეგაც, საგამოფენო სივრციდან მოიხსნა ნამუშევრები და ჩატარდა სანიტარული წმენდა. მუზეუმის განცხადების თანახმად, საგამოფენო დარბაზებსა და საცავებში წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშებს, მათ შორის ფიროსმანის ნამუშევრებს, საფრთხე არ ემუქრება.

„გვსურს, გამოვეხმაუროთ რამდენიმე მედიასაშუალებით გავრცელებულ ზედაპირულ ცნობებს, თითქოს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში აღმოჩენილი მწერების გამო, ფიროსმანისა და სხვა ხელოვანთა ნამუშევრებს საფრთხე ემუქრება.

საზოგადოებისთვის განვმარტავთ, რომ დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში დროებითი ექსპოზიციისას გარედან შემოტანილ რამდენიმე ექსპონატზე აღმოჩნდა მწერები. გალერეის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები - საგამოფენო სივრციდან მოიხსნა ნამუშევრები და ჩატარდა სანიტარული წმენდა.

აქედან გამომდინარე, საგამოფენო დარბაზებსა და საცავებში წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშებს, მათ შორის ფიროსმანის ნამუშევრებს, საფრთხე არ ემუქრება.

კროსვორდი



შვეულად: 1. თასი, რომელშიც თქმულებით ქრისტეს სისხლი იყო მოგროვილი და რომლის დანახვაც მხოლოდ მაღალი ზნეობის ადამიანს შეეძლო 2. თუთისებრთა ოჯახის შხამიანი ხე 3. კოსმონავტი ძაღლები: ბელკა და ... 4. სტივენ სიგალის კინოგმირი 5. პლანეტა, რომელსაც აქვს რგოლები 6. ცისარტყელას ქალღმერთი 8. უძველესი ხალხური თქმულება 12. მუსლიმანთა წმინდა შავი ქვა მექაში 13. ამ სახელწოდების სოფელი ადიგენშიცაა და დუშეთშიც 14. ფილმი რაჯკაპურის მონაწილეობით 15. ჰუნების ბელადი 16. წინაღობის შებრუნებული სიდიდე 19. სომხეთის უძველესი დედაქალაქი 21. სიძუნწით განთქმული ფრანგი პოლიტიკოსი, რომლის სახელიც უწოდეს მკაცრი ხაზებით შექმნილ შავ-თეთრ ნახატს 23. დავით ნარინი და დავით ... 25. სიგრძის საზომი ერთეული. უდრის სამ ადლს 26. ისტორიული ქალაქი ერაყში 27. მონღოლთა სახელმწიფო შუა საუკუნეებში ოქროს ... 28. რომელ ქალაქში ტარდება კინოფესტივალი, რომლის მთავარი პრიზია ოქროს პალმის რტო 29. გაბროვოელების კუდმოჭრილი სიმბოლო

თარაზულად: 4. რომელმა ატმოსფერულმა მოვლენამ, აიძულა ინგლისელი პარლამენტარები დაეყენებინათ ქუჩებში ფარნები 7. ქრონოსი იყო დროის მფარველი ღმერთი. ამასთან დაკავშირებთ, რა უწოდეს თავდაპირველად საათებს 9. ბოსტნეული, რომელიც 96% წყალს შეიცავს. დანარჩენი ნაწილი კი შეიცავს ისეთ ბაქტერიციდულ ნივთიერებებს, რომლებიც სპობენ ყვითელ სტაფილოკოკებს 10. ადგილობრივი წარმოების ჩაის საკრეფი მანქანა 11. "ილიადაში" მოხსენიებული ქალაქი, რომლის ნანგრევები კომერსანტმა შლიმანმა აღმოაჩინა 12. საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელიც შუა საუკუნეებში ბერებმა განავითარეს 15. ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი წერტილი 17. ისტორიული მხარე ...–კლარჯეთი 18. რომელი ოპერა დაწერა ჯუზეპე ვერდიმ სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით 20. ტროპიკული ნაყოფი, რომელიც მკვახე მდგომარეობაში იმდენად ძლიერ მჟავას შეიცავს, რომ კბილის ემალს აფუჭებს 22. სამედიცინო ტერმინოლოგიის ენა 24. ერთუჯრედიანი ორგანიზმი „ცრუ“ ფეხით 28. მცენარე პევეას წვენი, სამრეწველო ნედლეული 30. მანსარდი ფრანგი არქიტექტორია, რომელსაც ეკუთვნის ვერსალის სასახლის პროექტი. მისი გვარიდან გამომდინარე, რა უწოდეს სახლის დაქანებული სახურავის ქვეშ გამართულ საცხოვრებელ ადგილს 31. აზოტმჟავას მარილების ზოგადი სახელწოდება 32. კორიდის მონაწილე შუბოსანი მხედარი

მონატრება

კლარა ოზაშვილი



ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო კლარა დეიდა, ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. ხშირად ვიხსენებთ შენს გამონათქვამებს. შემოხვიდოდი რედაქციაში, შემოიტანდი შენთვის დამახასიათებელ სიხალისეს, სიყვარულს, ბედნიერებას. ეს ყველაფერი მთელი სამსახურისთვის გადამდები იყო. თქვენს გვერდით ბევრი თანამშრომელი გავიზარდეთ და ჟურნალისტობასთან ერთად ვისწავლეთ ცხოვრებისეული სიბრძნეც.

ყოველთვის გვახსოვხარ, ჩვენო სიყვარულით სავსე, „კლარა სტეპანოვნა“. ნათელში იყავი.

სიყვარულით, **შენი „შირაქელები“.**

შვილები: მზია, თემური; სიძე თენგიზ კობაიძე; რძლები: ლიკა ბრეგაძე-კობაიძე, ლია ჩოქური. შვილიშვილები: დედა მარიამი და ილია კობაიძეები, ნიკოლოზ ქენქაძე; შვილთაშვილები: საბა, ანდრია და მარიამ კობაიძეები; ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

ნიკოლოზ ქენქაძის გარდაცვალებას.

დაიკრძალა 24 აგვისტოს, ქ. დედოფლისწყაროში.

გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მზია ქენქაძეს მამის

ნიკოლოზ ქენქაძის

გარდაცვალების გამო და თანუგრძნობენ მის ოჯახს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლალი მეხრიშვილს მამის

ბიჭიკო მეხრიშვილის

გარდაცვალების გამო და თანუგრძნობენ მის ოჯახს.

მაყვალა წიკლაურის 80 წლის იუბილე

/მეხუთე გვერდიდან/

მადლობა მინდა ვუთხრა პირველ რიგში მაია ყველაშვილს, რომელმაც დიდი ხანია საიუბილეო საღამოს ორგანიზება დაიწყო და განახორციელა კიდეც. მან მოინდომა, „ისეთი თარიღებია, აუცილებლად უნდა აღინიშნოსო“. გვერდით დაუდგა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, მთლიანად ჩვენი სამსახური. აქტიურად ჩაერთვნენ მეზობელი სოფლებიც, გამოიტანეს შესანიშნავი საკონცერტო ნომრები და დაუვიწყარი დღე მაჩუქეს. ძალიან კმაყოფილი ვარ, ამდენს არ ველოდი. მადლობელი ვარ ყველასი, ვინც იუბილე გამილამაზა. ყველას ერთიანობით აღინიშნა ჩემი დაბადებისა და მუშაობის მრგვალი თარიღები. მართლა კარგი ღონისძიება გამოვიდა და ამან დიდი სტიმული მომცა, ძალიან გამომაცოცხლა. დიდი სიამაყე და საჩუქარი იყო ჩემთვის ისიც, რომ ამ ასაკში ჩემს გვერდით იყვნენ ჩემი დედმამიშვილები და ღონისძიებაში მონაწილეობდნენ. ძმა 85 წლისაა, და კი-76-ს. ამის მიუხედავად, შეძლეს სცენაზე გამოსვლა და სამივე ძალიან ემოციურად ვიყავით. ერთობლივი სიმღერებიც შევასრულეთ. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებამდე რეპეტიცია არაერთხელ გავიარეთ, სცენაზე მაინც გვეტირებოდა და ემოციებს ვერ ვფარავდით. ასაკის მიუხედავად ხმაც კარგი აქვთ, შეძლებაც და ნეტავ კიდევ დიდხანს იყვნენ ასე. ბევრი ჭირ-ვარამი გვაქვს ცხოვრებაში გამოვლილი, რამდენიმე ტრაგედიაც დაგვატყდა და წესით სახლში უნდა დავმსხდარიყავით და აღარ გვემღერა. მაგრამ, იმდენად ვართ ხელოვნებაზე შეყვარებულები, სიმღერის გარეშე არ შეგვეძლო და ცხოვრებას ვაგრძელებთ. ასევე ჩემს გვერდით იყვნენ ძველი თაობის თანამშრომლები ქეთევან ქიმოსტელი და იზო ნამგალაური. მათთან ერთად ათეული წლები გავიარე. იზოს სააკმაოდ ძლიერი პირველი ხმა აქვს, ფანდურიც დაუკრა და გუნდშიც იმღერა. მოვხუცდით, მაგრამ ძალიან მინდოდა ისინიც გამოსულიყვნენ. ძალიან მომეწონა მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის და სხვა გამომსვლელების სიტყვა. მივიღე ბევრი საჩუქარი და თბილი სიტყვა, თანამშრომლებიც ბოლომდე გვერდით მედგნენ და სიყვარულით სავსე გულით დავტოვე შენობა. თუმცა, ერთ რამეზე მწყდება გული. უნიკალური საკონცერტო დარბაზი აქვს ზემო ქედს. მარჯანიშვილის თეატრიდან დაწყებული უამრავი სხვა შემოქმედებითი კოლექტივით დამთავრებული, ბევრი სტუმარი ჩამოსულა, ბევრი მდგარა ამ სცენაზე და ყველა გაოცებული რჩებოდა ამ შენობით. ჟამთასვლამ და წლებმა შელახა ეს შენობა, ჭერიდანაც წყალი ჩამოდის და რეაბილიტაციას საჭიროებს. როგორც შვილზე ისე შემტკივა გული, რადგან ამ შენობაში არ დავიბადე, თორემ აქ დავბერდი და ემოციები მაკავშირებს. განვიცდი ამ ყველაფერს, იმედი მაქვს, ხელის შევლება და მისი შენარჩუნება მოხერხდება.

მაყვალა, ნიკოლოზ და ნატო წიკლაურები

სამომავლოდ მინდა გუნდი შევავსო და უფრო მრავალრიცხოვანი გავხადო. სექტემბრიდან, ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე, გამოვაცხადებ მიღებას და ახალ ბავშვებსაც მივიღებ. კონტრაბასი, ჩანგი და დიპლიპიტო გვაქვს, რომელიც მრავალი წელია აღარ ახმიანებულა, მინდა ისიც ისწავლონ და ეს ინსტრუმენტებიც გამოვიყენოთ. 2007 წელს რომ დაგვიშალეს ანსამბლი, მას შემდეგ აღარ გამოგვიყენებია, არადა გვაქვს. ვუფრთხილდებით და სათანადოდ ვუვლი. ისეთი მხნეობა და ენერგია მაქვს, შემიძლია სოფელს კიდევ ვემსახურო. სურვილი დიდი მაქვს და ვნახოთ რა იქნება და რას შემაძლებინებს უფალი“.

ილია მარტყოფლიშვილი

გამარჯვებაში ისტორიული ტაძრის აღდგენა იწყება

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია სოფელ გამარჯვებასთან მდებარე ზღმურდლის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის აღდგენა-რესტავრაციას იწყებს, რისთვისაც საზოგადოების ერთიანობა და შემოწირულობის გაღებაა საჭირო. ტაძრის აღდგენისთვის არქიტექტორმა სერგო ქართველიშვილმა მოამზადა პროექტი, რომელიც ტაძრის პირვანდელი სახით აღდგენას უზრუნველყოფს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ისტორიული ძეგლის აღდგენის ნებართვა უკვე გასცა, რაც ეპარქიას საშუალებას აძლევს რესტავრაცია განახორციელოს.

ლელა ჭინჭარაული (საკრებულოს დეპუტატი): „ზღუდერის წმინდა გიორგის ეკლესიის (ზოგი მას „ზღმურდლის“ სახელით მოიხსენიებს) აშენების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა დაახლოებით IV-VI საუკუნეებს ვარაუდობენ. მის გარშემო როგორც ჩანს ძველი დასახლებაც ყოფილა, რასაც მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრები, თიხის ჭურჭელი და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები მოწმობს. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში წელინადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმინდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ჩვენს სოფელში მდგომ ტაძარს ზღუდერის წმინდა გიორგის სახელით მოიხსენიებდნენ, თუმცა რომელ დღეს ზეიმობდნენ მის დღესასწაულს უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ზომის ბაზილიკა სოფლის განაპირას, მაღლობზე მდებარობს, ის მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვან სალოცავს წარმოადგენს და ხშირად სტუმრობენ მას. ჟამთა სვლამ თავისი კვალი დაამჩნია ტაძარს - სახურავი დაზიანდა, რის გამოც წვიმა ჩადის, კედლები დაიბზარა და შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. წლების განმავლობაში მოსახლეობა ცდილობდა საკუთარი ძალებით მოევლო ეკლესიისთვის: არაერთხელ შემოღობეს ეზო, რომ ტყეში მობალახე ნახირისგან დაცული ყოფილიყო. ეწყობოდა დასუფთავების აქციები, იხდიდნენ წმინდა გიორგის პარაკლისებს და ა.შ. თუმცა, რაიმე მნიშვნელოვანი ჩარევა არ შეიძლებოდა, სანამ ძეგლთა დაცვის სააგენტოსგან მისი რესტავრაციის ნებართვა არ იქნებოდა.

ამჯერად, არქიტექტორმა სერგო ქართველიშვილმა მოამზადა პროექტი, რომელიც ტაძრის პირვანდელი სახის აღდგენას უზრუნველყოფს, ძეგლთა დაცვის სააგენტომ რესტავრაციის ნებართვა გასცა და სოფლის მოძღვარის - იღუმენი იოანეს მონდომებით და ინიციატივით დაიწყო აღდგენითი სამუშაო პროცესები. ასევე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში - ტაძრამდე მისასვლელი გზის მოწესრიგებაში. კეთილი ადამიანების დახმარებით და ღვთის შეწევნით, გამარჯვებაში, სულ რამდენიმე წლის წინ დასრულდა ყოვლადწმინდა სამების ტაძრის მშენებლობა. ახლა კიდევ ერთხელ გვაქვს იმედი, რომ ერთიანი ძალებით შევძლებთ ამ ისტორიული ძეგლის რეაბილიტაციას და მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნებას. თითოეული ადამიანის და თითოეული დედოფლისწყაროელის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, იქნება ეს მატერიალური, ფიზიკური, თუ ლოცვით შემწეობა. სიძველის შენარჩუნება და მისი მოვლა-პატრონობა ყველა ჩვენგანის ვალია. ამიტომაც საზოგადოებას გაერთიანებისა და აქტიურობისკენ მოვუწოდებ!“.

თქვენი სურვილისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეგიძლიათ წვლილი შეიტანოთ უძველესი ტაძრის რესტავრაციაში (როგორც მატერიალურად, ასევე ფიზიკურადაც).

ანგარიშის ნომერი:
GE57TB7646736080100004.
მიმღების სახელი:
სოფელ გამარჯვების ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი.

ივერი ჭუჭულაშვილს!

წელიწადში ერთხელ, 1 სექტემბერს, შანსი გვეძლევა დაბადების დღე მივულოცოთ ჩვენს ტკბილსა და თბილ თანამშრომელს, მაღალპროფესიონალ ზოოტექნიკოსს, ბატონ ივერის! ვულოცავთ ამქვეყნად მოვლინების თარიღს, დიდხანს ეხაროს საყვარელ ოჯახთან, მეუღლე თამრიკოსთან, შვილებთან: ზაზა, შორენა და ულამაზეს, უნიჭიერეს 4 წლის შვილიშვილ სალომესთან ერთად.

პატივისცემით, სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ჯემალ კვანჭილაშვილი, კაკო სამუკაშვილი, ავთანდილ ჯანაშვილი, მერაბ ფიროსმანაშვილი, ნანა აფციაური, თამაზ ჯანიკაშვილი, ზურა თეთვაძე, ნანა ჭიჭინაძე, მაყვალა მამულაშვილი, თამრიკო პაპაჩაშვილი. მაყვალა ჯორკოშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 m^2 ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 26.08	სამშაბათი 27.08	ოთხშაბათი 28.08	ხუთშაბათი 29.08	პარასკევი 30.08	შაბათი 31.08	კვირა 01.09
დღე	30°	30°	30°	29°	29°	29°	30°
ღამე	19°	18°	20°	17°	18°	19°	18°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი